

საქართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ლელო ორგანო კომიტეტისა და სპორტის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 47 (1217) კვირა, 20 აპრილი, 1958 წ. გამოცემის მე-14 წელი. ფასი 80 კაპ.

შტანგისტთა რეკორდები

სტალინო. (ჩვენი სპეც. კორ.) ჩვენი ქვეყნის შტანგისტთა ახალი მიღწევებით აღინიშნა სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონატი სიმძიმეების აწევვაში, რომელიც მიმდინარეობდა სტალინოში.

სიურპრიზით აღინიშნა მრატე წონის ძალოსანთა გამოსვლა — მარცხი განიცადა საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა ვ. სტოგოვმა (მოსკოვი), რომელიც ახლახან გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ არ იყო ფორმაში, ოქროს მედალი მოიპოვა ს. ულიანოვმა (ალმა-ატა), რომლის შედეგი საბჭოელში უფროსი 322,5 კილოგრამს (107,5 + 100 + 125), სტოგოვი გამოვიდა მეხუთე ადგილზე.

ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონობის ძირითადი კანდიდატები იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი ე. მინაევი და ექსპერიმენტი რ. ჩიშვიანი (თბილისი), მინაევმა სამჭიდის ჯამში დააგროვა 355 კგ (115 + 105 + 135) და 10 კილოგრამით გაუსწრო ჩიშვიანს.


მსუბუქ წონაში, როგორც ვიტყობინებოდით, მსოფლიო რეკორდი აქამდე დაამყარა ახალგაზრდა შტანგისტმა ქ. ნაღიკიძემ, რომელიც — 128,5 კგ. ჩემპიონის წოდება ახალი საქართველო რეკორდით სამჭიდის ჯამში, რომელიც აღემატება მსოფლიო რეკორდს, მოიპოვა ვ. ბუშუგუმა (გორკი) — 387,5 კგ.

137,5 კგ აქიზა რ. ხაბუტაძემ (ნოღოსბირსკი) ქვესაშუალო წონაში. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია. ამ წონაში საუკეთესო შედეგი სამჭიდში აჩვენა ფ. ბოგდანოვსკიმ — 417,5 კგ.

1949 წლიდან ცხრილში იგდა ნოვაკის საქართველო რეკორდი საშუალო წონაში: აქიზა — 143 კგ. განვლილ პირველობაზე რ. პლიუგვლდერმა (კემბეროვის ოლქი) ამ უძველეს რეკორდს მიუზღა 0,5 კილოგრამით. 410 კილოგრამით სამჭიდის ჯამში კეშე-როველმა ატლეტმა მოიპოვა ოქროს მედალი.

ქვემსუბუქ წონაში უძლიერესი იყო მსოფლიო ჩემპიონი ა. ვორობიოვი (სვარდლოვსკი) — 460 კგ. ამ წონაში მსოფლიო რეკორდი ატავში დაამყარა ხარკოველმა ფ. ოსიპამ — 146 კგ. ხოლო აკვრაში — ვ. დვიგუნმა (სტალინაბადი) — 180,5 კგ.

შტანგისტთა ფორმაში იმყოფება მძიმე წონის შტანგისტი ა. მედეველი, რომელმაც დაამყარა 3 ახალი საქართველო რეკორდი: აქიზა — 143 კგ, აკვრა — 190 კგ და სამჭიდის ჯამში 505 კგ. მედეველი კონკურენტის გარეშე გავიდა პირველ ადგილზე.



შტანგისტთა ახალი მიღწევები

ანგარიშია 10:7 მ. ბოტენიკის სასარგებლოდ

დემონსტრირებულ იქნება საბჭოთა სპორტის მიღწევები

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

ამერიკა

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის გამოსვლამ თავისუფალ ქილაობაში უდიდესი ინტერესი გამოიწვია ნიუ-იორკის სპორტულ საზოგადოებრიობაში. დარბაზი, სადაც მიმდინარეობდა შეჯიბრება, სავსე იყო მაყურებლებით. საბჭოთა მოქიდაელებმა კიდევ ერთ

შეჯიბვა

სტოკოლმი. 16 აპრილს სტოკოლმის უდიდეს დარბაზში „ერისკ-დალსპალენში“ გაიმართა კლასიკური ქილაობაში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის პირველი გამოსვლა. საბჭოთა მოქიდაელები შეხვედნენ შვეიცარიის ნაკრებ გუნდს, რომელიც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება მსოფლიოში.

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე

17 აპრილს ბრიუსელში საზღვარგარეთის გაიხსნა მსოფლიო გამოფენა. 50-მდე ქვეყანა აჩვენებს თავის მიღწევებს ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში, ხელოვნებასა და სპორტში. საინტერესო სანახაურია საბჭოთა სპორტისადმი მიძღვნილი გამოფენა. იგი ინსერება მხატვრულად გაფორმებული ოთხი სტენდიით, რომელთაგან თვითმული მიძღვნილია გარკვეული თემისადმი: „სპორტი საბჭოთა კავშირში — მშრომელთა ჯანსაღელობის გაჯანაღებისა და დასვენების მიძღვნილი საშუალება“, „საბჭოთა კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობა“, „საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა“, „საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო ურთიერთობა“. აქვეა გამოჩენილი სპორტსმენების სურათები, პრეზენტები, რომლებიც მოუპოვებიათ საბჭოთა სპორტსმენებს სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

სოკში დამთავრდა მრავალდღიანი საგაზაფხულო ველორობლა

რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ველოსიპედისტები. ყველა ეტაპის ჯამში საერთო პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოველი სპორტსმენი ე. კლემცოვი. ჩატარებული ველორობლა ამავე დროს მშვიდობის ველორობლის (ვარშავა-ბერლინი-პრედა) შერჩევითი შეჯიბრება იყო. ველორობლის დამთავრების შემდეგ შედგა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მოსკოველები: ე. კლემცოვი, ი. კოლმედივი და ვ. კაპიტონოვი. ნ. კოლუმბეტი, ბ. ბეგენინი (მოსკოვის ოლქი), პ. ვოსტრიაკოვი (ლენინგრადი). სურათზე: ველოსიპედისტები მაცესტა-სოკის მონაკვეთზე. ფოტო ლ. დორენსკისა.



დიდი გახდა

ცნობილია, რომ გროსმაისტერები თავიანთი დაბადების დღეს რატომღაც ვერ თამაშობენ წარმატებით. მაგალითად, კაბალანკამ ამსტერდამის 1938 წლის საერთაშორისო ტურნირში თავისი დაბადების 50 წლისთავზე წააგო ალიოხინთან. 17 აპრილს ბოტენიკი 47 წლის შესრულდა. ამიტომ ქაღარაკის მოყვარულების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა XVII პარტია, რომელიც ამ დღეს შედგა.

ბრძოლა უკვე მეოთხედ დაიწყო კაროკანის დაცვით. მისილოვი დაუბრუნდა პირველ პარტიაში გათამაშებულ ვარიანტს, რომელიც მას ალბათ ჰქონდა მომზადებული რაიმე გაძლიერება. მაგრამ ბოტენიკმა ყურადღო გროსმაისტერ დ ბრონსტეინის მოსაზრება, რომელიც მან სპეციალურ ბიულეტენში გამოთქვა მისამე პარტიის გარჩევისას და აირობა მეტად მშვენივრ სისტემა. სმსლოვი კარგად გაერკვა ამ ახალ სისტემაში და უკვე მე-19 სეკუნზე ხელთ იგდო ინიციატივა.

გაჩაღდა ბრძოლა ორივე ფრთაზე. მისილოვის სტრატეგიულ გეგმად ჰქონდა თამაშის ისეთ დაბოლოებაში გადამყვანი, სადაც მის ლაზერის ფრთაზე სამი პაიკი ექნებოდა

ორის წინააღმდეგ. მანვერულ თამაშში, რომელიც მისილოვის უპირატესობით მიმდინარეობდა, მსოფლიო ჩემპიონმა საკმაოდ გააძლიერა თავისი ფიგურების განლაგება, მაგრამ ავიანებდა აქტიური ოპერაციების წამოწყებას. ამით ისარგებლა ბოტენიკმა და მოახდინა ხელსაყრელი გაცვლები.

ამ დღეს პარტია არ დამთავრებულა. გადადებულ პოზიციაში სმილოვის პაიკების უკეთესი განლაგება აქვს, მაგრამ ლაზერების დაბოლოებაში ასეთი უპირატესობის გამოყენება მეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენს.

18 აპრილს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საქარდაყო კლუბში მოხდა ამ პარტიის დამთავრება.

მისილოვმა ადვილად შექმნა გამსვლელი პაიკი, მაგრამ მისი ამოხრება შეუძლებელი აღმოჩნდა. ბოტენიკი აშეიათი სიზუსტით თავს ესხმოდა მსოფლიო ჩემპიონის მეფეს, რომელსაც არა ჰქონდა თავშესაფარი. თამაშის განახლებიდან უკვე მე-9 სეკუნზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, XVII პარტიის შემდეგ ანგარიშია 10:7 მ. ბოტენიკის სასარგებლოდ.

სურათზე: დიდი მატჩის ერთ-ერთი ტურნი მ. ბოტენიკი (მარცხნივ) — ვ. მისილოვი.

მიქალაქა კომკავშირის ყრილობას

სამ დღეს გრძელდებოდა კროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა პირველობა მძლეოსნობაში. სტარტზე გამოვიდა 220 სპორტსმენი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნები. წარმატება ხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ლ. შავგოვს, რომელიც „შუბი ტყორცის“ 65 მეტრსა და 93 სანტიმეტრზე, ეს შედეგი პირველი თანრიგის ნორმს აღემატება. სპორტსმენმა ეს მიღწევა მიუძღვნა ლენინური კომკავშირის XIII ყრილობას.

შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა 6 მეორე და 46 მესამე თანრიგის შედეგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ვათა შორის ორიგავას გამოსვლა შუბის ტყორცისში — 62,66 მ, სოკოლოვმა სიგრძეზე სტომაში დაძლია 6 მ 13 სმ, ხოლო გველსიანმა სამხტომში აჩვენა 13,46 მ. ქალთა შეჯიბრებაში ქველიძემ ბირთვი ჰკრა 11 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მეტანეკურ-მანქანათმშენებელი ფაკულტეტის სპორტსმენებმა.

ა. სტეპანოვი, რესპუბლიკური კატეგორიის მსახვი.



განვაგებოთ მოკრძეპული წარმატება



იონულ სპორტსკოლებში ტექნიკურ მეტო, წარმოება-დაწესებულებათა მუშა ქალებს შორის.

მიმდინარე წლის სპორტული კალენდარი ითვალისწინებს სპორტულ შეჯიბრებას მსატრეულ ტანვარჯიშში. თუ გინდა განემყარო და წავიდეთ კიდევ უფრო შინ, აუცილებლად საჭიროა მასობრიობის ზრდა, სისტემატური მეცადინეობა სექციებში, ენერგიული, დაუღალავი მუშაობა. მაღალი თანრიგების ტანვარჯიშეებთან მეცადინეობა უნდა წარმოებდეს 4-5-ჯერ კვირაში, პერიოდულად საჭიროა მასობრივი ინტენსიობის დატვირთვის მიცემა, ვარჯიშების ხშირი გამეორება და მათს შორის შესვენებათა შემცირება.

სპორტსმენთა ტექნიკური მომზადება მდგომარეობს პრაქტიკული გათვალისწინებული ვარჯიშების სისტემატურ გამეორებასა და სრულყოფაში. საჭიროა დაიხვეწოს მოძრაობათა ცალკეული დეტალები, ნიუანსები, გაუმჯობესდეს ემოციურობა და გამომსახველობა. საჭიროა მუშაობა რთული ვარჯიშების მსუბუქად, ნარნარად და მოხდენილად შესრულებაზე.

მსატრეული ტანვარჯიშის შეჯიბრების წესებით აუცილებელია მოძრაობანი საგნებით შეფარდებულ მუსიკალური ნაწარმოების ხასიათს, აგრეთვე ვარჯიშთა შეხატულობა მუსიკის ტემპთან და რიტმთან.

არ შეიძლება დავივიწყოთ მომეცადინეთა მიორღობა და ნებულაბითი მომზადება. მაღალ ორგანიზებულობა, დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძობა საკუთარი კოლექტივის წინაშე, რწმენა საკუთარი და ამხანაგების ძალებში — ყველაფერი ეს აუცილებელია საჭიროა მსატრეულ ტანვარჯიშში წარმატებათა მისაღწევად.

მსატრეული ტანვარჯიში სპორტის ერთ-ერთი ულამაზესი სახეობაა, რომელსაც ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ჩვენს რესპუბლიკაში.

საოლქუალო მსატრეული ტანვარჯიშის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.

სწავლა — ჭაბუკები

ლენინგრადში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის პირველობა სასტენდო სროლაში ჭაბუკთა შორის, რომლის პროგრამაში იყო სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე.

პირველ და მეორე დღეს მოეწყო შეჯიბრება ადგილიდან სროლაში. კარგი სტარტი აიღო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა შ. ცაგარევიშვილმა, რომელმაც 25 სამიხანედან მხოლოდ ერთს დააღვიძლა. მაგრამ მომდევნო სერიებში იგი აღუღდა და შესაბამისად დაახინა 19, 20-20 სამიხანედან და მოაგროვა 84 ქულა. ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა მ. სმირნოვმა 6 ქულით უუკეთესი შედეგი აჩვენა. შეჯიბრების მეორე დღეს შ. ცაგარევიშვილმა 3 ქულით გააუმჯობესა პირველი დღის შედეგი და საერთო მესუთე ადგილზე გამოვიდა. პირველი ადგილი წილად ხვდა მ. სმირნოვს. ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ბათუმელმა ვ. ანდლუქიმ თავის შესაძლებლობაზე უღელდა ისროლა და გამოვიდა მე-18 ადგილზე.

გ. მოწონელიძე

ქაჩხის პიკვირობა

რუსთავის ცემენტის ქარხანაში ორ კვირას გაგრძელდა გუნდური პირველობა ქალაკში. ტურნირში მონაწილეობდა 9 გუნდი, ხოლო თვითუღ გუნდში იყო სამი მოქალაქე.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ელექტრო საამქროს გუნდმა. მეორე ადგილზე გაიდა გრანულაციის საამქროს კოლექტივი, მესამეზე — მექანიკური საამქროს მოქალაქეები. საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ: პირველ დაფაზე დაფების საამქროს უფროსს ვ. აბაიშვილს (6 ქულა 8-დან), მეორე დაფაზე ელექტრო საამქროს ტექნიკოსს ე. სიტორუკს (7 ქულა), მესამე დაფაზე ელექტრო საამქროს ოსტატ ი. ზაიცივს (5,5 ქულა).

ო. დოლიძე

თბილისი. „ბურვესტნიკის“ სტალინი. 19 აპრილი. „ბურვესტნიკი“ (თბილისი) — „შახტიორი“ (კალინინი) — 3:0 (1:0). „ბურვესტნიკი“: რუხაძე; წოწელოა; კუპავა; სიჭინავა (გაგუა); მუმლაძე; გოგიჩაიშვილი; ხაზარაძე. ურთქმელიძე, ჩიჩუა, ზეინკლიშვილი, აშვილი.

მიუხედავად მეტად მძიმე, ტალახანი გრუნტისა, თბილისის „ბურვესტნიკმა“ აჩვენა ენერგიული, მონდომებული თამაში. მართალია, გუნდს არა აქვს თავისი ჩამოყალიბებული ტაქტიკური სახე, მაგრამ ეს ჯერ არც მოეთხოვება ახალგაზრდულ კოლექტივს, რომელიც სულ ახლახანა შექმნილი და პირველად მონაწილეობს ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში. მთავარია, რომ მოთამაშეებმა კეთილსინდისიერად, სრული ძალით იბრძვიან მინდორზე და მეგობრული კოლექტივის შთაბეჭდილებას ტოვებენ. 3 ქულა ორი თამაშის შემდეგ, ისიც ძლიერ მოწინააღმდეგეებთან, კარგი სტარტი თბილისის „ბურვესტნიკისათვის“.

მატჩში კალინინის „შახტიორთან“

პირველი გამარჯვება ფინალში

„ბ“ კლასის ფრენბურთელთა წინასწარი შეხვედრების უკანასკნელ დღეს თბილისის ქალთა გუნდი შეხვედა კიშინიოვის „მოლოდისას“. თბილისელთა გამუდმებული იერიშის წინააღმდეგ „მოლოდისას“ ფრენბურთელებმა ვერაფერი გააწყეს და დამარცხდნენ ანგარიშით 0:3. ამ მატჩში გააზრებული და მაღალტექნიკური თამაში თავი გამოიჩინეს აბუაშვილმა, ტონკონოვამ, ვაშაკიძემ და ა. ანანოვამ. თბილისის გუნდის გარდა პირველ ექვსეულში მოხვედნენ ტარტუს „კალევი“, მინსკის „ბურვესტნიკი“, ცრკუტსკის „სპარტაკი“, ფრუნზეს „ალგა“ და მეტუ (მოსკოვი). ვაშაკიძე კოლექტივებიდან „ა“ კლასში გადასვლისათვის იბრძობებენ კუბიშვილის სკოლა, მისკოვის „ლოკომოტივი“, კიევის და ბაქოს „ბურვესტნიკი“, ტალინის „კალევი“, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდი ითამაშებს 7-12 ადგილისათვის.

ფინალის პირველ დღეს თბილისის ქალთა გუნდი ეთამაშა ფრუნზეს „ალგას“ და დამარცხდა იგი ანგარიშით 3:0. ტარტუს „კალევი“ — მოტუგო მინსკის „ბურვესტნიკს“ — 3:0, მეტუ — ირუტსკის „სპარტაკს“ — 3:2. თბილისის ვაშაკიძე გამარჯვება მოიპოვა ალმა-ატის „ბურვესტნიკთან“ — 3:2. ვაშაკიძე გუნდებიდან, რომლებიც 1-6 ადგილისათვის იბრძვიან, ცენტრალური შეხვედრა იყო ტალინის „კალევისა“ და კიევის „ბურვესტნიკის“ ფრენბურთელთა მატჩი, რომელიც დამთავრდა ტალინელთა გამარჯვებით.

ლ. ფალავანდიშვილი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ახერხაიკანი — ლიტვა

ლიტვის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი საქართველოდან გაემგზავრა ბაქოს, სადაც შეხვდა აზერბაიჯანის გუნდს. შეჯიბრება გაიმართა მძლეოსანის 28 სახეობაში, საიდანაც აზერბაიჯანის მძლეოსნებმა მოიგეს 17 პირველი ადგილი, ხოლო ლიტვის წარმომადგენლებმა — 11. მოგვიყვას გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები: ვაუბი — 100 მ, — კონოვალოვი (აზ.) — 10,7; 200 მ, — კონოვალოვი — 21,5; 400 მ, — ფილონისი (ლიტვა) — 50,0; 800 მ — ალატორცევი (აზ.) — 1,56,2; 1500 მ — ალატორცევი — 3,56,5; 500 მ — მეშჩერაიკოვი (აზ.) — 14,50,0; 110 მ. თარჯბანი — შნულინი (აზ.) — 15,1, სიმაღლე — ვალოვი (აზ.) — 1,90 მ, სიგრძე — რეშეტკოვი (აზ.) — 6,72 მ, სამხტომი — დემენტიევი (აზ.) — 15,11 მ, ქოჯი — მოზურა (ლიტ.) — 4,10 მ, ბადრო — ბალტუშნიკისი (ლიტ.) — 51,27 მ, შუბი — მოზურა (ლიტ.) — 68,75 მ, ურა — ნენაშვილი (აზ.) — 62,37 მ, ბირთვა — ვარანაუსკისი (ლიტ.) — 16, 76 მ, სიარული 10 კმ — ბუტუნასი (ლიტ.) — 45,34,8, ესტაფეტა 4x100 მ — აზერბაიჯანი — 42,4. ქალები — 100 მ — ალექპეროვა (აზ.) — 12,3; 200 მ — ალექპეროვა — 25,8; 400 მ — ალექპეროვა — 58,6; 800 მ — კარალიუნაიტე (ლიტ.) — 2,20,4; 80 მ. თარჯ. — კარტუშინა (აზ.) — 11,7, სიმაღლე — შეჩენკო (აზ.) — 1,55 მ, სიგრძე — ბუშმევე (ლიტ.) — 5,44 მ, ბადროლაუკი (ლიტ.) — 44,55 მ, შუბი — ზალოგაიტე (ლიტ.) — 51,13 მ, ბირთვი — იშვანაიტე (ლიტ.) — 13,65 მ, ესტაფეტა 4x100 მ — აზერბაიჯანი — 48,8. მ. პეიზელი

სურათზე: რესპუბლიკის ერთერთი მოწინავე სპორტსმენი ნ. სალაძე ვარჯიშის დროს.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მსატრეულმა ტანვარჯიშმა — ქალთა სპეციალურმა. სპორტულმა სახეობამ, გავრცელება პპოვა ჩვენს რესპუბლიკაში. და თუ პირველ წლებში ჩვენში თითებზე იყო ჩამოსათვლელი ამ სახეობაში მომეცადინეთა ჯგუფები, ახლა მსატრეულმა ტანვარჯიშმა თავისი სილამაზის, პარამონიულობის წყალობით მიიზიდა ქალთა გაცილებით მეტი რაოდენობა. მსატრეული ტანვარჯიშის პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება არა მარტო საქართველოსა და სსრ კავშირში, მის განვითარებას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალსაზრისით გარეთელი მწვრთნელებიც და სპეციალისტებიც. უცხო ენებზე ითარგმნება ჩვენი სახელმძღვანელოები, გადაღებული იქნა სასწავლო ფილმები და ა. შ.

გასული წლიდან საფუძველი ჩაეყარა ამხანაგური შეხვედრების შესანიშნავ ტრადიციულ მსატრეულ ტანვარჯიშში საქითა და უცხოელის სპორტსმენებს შორის. ასე მაგალითად, ამხანაგური შეხვედრა ჰქონდათ ლატვიის „სპარტაკსა“ და ფინეთის გუნდებს. წელს მოეწყო შეჯიბრებები ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, უნგრეთის, ბულგარეთისა და სხვა სპორტსმენებთან. მეგობრებთან საპასუხო ვიზიტისათვის უნდა ვემზადდეთ ჩვენც.

გასული წელი აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მთელი რიგი წარმატებებით მსატრეულ ტანვარჯიშში. უძლიერეს ტანვარჯიშითა რიგებს შეემატა ორი ახალი სპორტის ოსტატი, პირველი ტრადიციული ამხანაგური შეხვედრა ესტონელებთან დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით. ასეთივე შეხვედრა გაიმართება სულ მალე ტალინში და ჩვენი ვალაია სათანადოდ მოვემზადოთ მისთვის.

აღსანიშნავია ის, რომ 1957 წლის საკავშირო ჩემპიონატში, რომელშიც მონაწილეობდა 12 უძლიერესი კოლექტივი, ჩვენი რესპუბლიკის გუნდი პირველ ხუთეულში მოხვდა. მაგრამ მიუხედავად იმ წარმატებებისა, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოთვალეთ, არ შეიძლება ითქვას რომ მსატრეული ტანვარჯიშის განვითარების საქმეში ყველაფერი რიგზეა. ჯერ კიდევ აქვს ადგილი მრავალ ნაკლოვანებას, რომელთა აღმოფხვ

ლიტვის მოსკოვის „დინამო“

საკავშირო პირველობა წყალბურთში მოსკოვის თანაკლებულბთან დამარცხების შემდეგ თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები შეხვედნენ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს. ამჯერად თბილისელმა წყალბურთელებმა სუსტად ითამაშეს და წააგეს შეხვედრა ანგარიშით 1:4. ზღიზღედ 2 დამარცხება განიცადა თბილისის „ბურვესტნიკმა“ ჯერ მოსკოვის „შრომითი რეზერვთან“ — 2:9, ხოლო შემდეგ კიევის თანაკლებულბთან — 1:7. მოულოდნელი იყო მოსკოვის არმიელთა დამარცხება მოსკოვის ტრაპედონთან — 2:3. თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“, რომელსაც დაკარგული აქვს მხოლოდ ერთი ქულა. გ. გვაზავა, მოსკოვი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.



ლიტველი მძლეოსანი ა. ვარანაუსკისი საქართველო-ლიტვის მძლეოსანთა მატჩის დროს. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭო მუშათა და მოსახლასაურთა შორის მძლეოსნობის პოპულარიზაციის მიზნით აცხადებს თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსს.

კონკურსის მონაწილემ (25 წლის ასაკამდე, მხოლოდ რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები) უნდა ივარჯიშოს მძლეოსნობის სექციის ადგილზე და პირველ სექტივებში აჩვენოს საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის შესაბამისი თანრიგი მაინც მძლეოსნობის ნებისმიერ სახეობაში. ამვე დროს კონკურსის მონაწილემ უნდა შეასრულოს საწარმოო გეგმა როგორც ყოველდღიურად, ისე, თვე-ურად არაუმეტეს 150 ურად.



შედეგები გამოვლინდება რკინიგზის საკავშირო კონკურსის დღისათვის.

საგზაო საბჭომ კონკურსის მონაწილეთათვის დაამტკიცა სამი პრიზი: პირველი — 700-800, მეორე — 400-500, ხოლო მესამე — 250-300 მანეთის ღირებულების. ფიზკულტურისა და სპორტის შესახებ კომიტეტმა მასალები და ბრძანებები სპორტული თანრიგის მინიჭების შესახებ, შეჯიბრების ოქმების ასლები, აგრეთვე ცნობები საწარმოო მაჩვენებლების შესახებ წარმოების ხელმძღვანელთა ხელმოწერითა და ბეჭდით კონკურსის უფროსს უნდა წარუდგინონ 20 აგვისტომდე, „ლოკომოტივის“ რაიონულმა საბჭომმა უნდა შეადგინონ კონკურსში შეყვანილ პართა სიდა შეატყობინონ ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს.

მძლეოსნობა. შერჩევითი შეჯიბრებები. სპორტსაზოგადოებრივი რევლუციის სტადიონი. მონაწილეობენ ის მოსწავლეები, რომლებმაც მცადიანობენ მძლეოსნობის განყოფილებაში. მძლეოსნობის სკოლაში. მოსწავლეები, რომლებიც თავიანთ ასპორტივ ჯგუფებში დაიკავებენ საპრიზო ადგილებს დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. გამარჯვებული სკოლები — მძლეოსნობის ინვენტარი. კრივი. ქალაქის პირველობა II და III თანრიგისათვის. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ დარბაზში. დასაწყისი დღის I საათზე. სპორტული ტანვარჯიში. ქალაქის პირველობის I ტური. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზი. დასაწყისი II საათზე. ფარკაობა. ქალაქის პირველობის I ტური. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ქადრაკი. რესპუბლიკური პირველობა ქალთა შორის. ცენტრალური საქადრაკო კლუბი. გადაღებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 6 საათზე. ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობა „კლანის გუნდების — თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 5 საათზე. სიმძიმეთა აწევა. ქალაქის პირველობა II და III თანრიგისათა შორის. „განთიადის“ დარბაზი. დასაწყისი დღის 12 საათზე.

ნან. გ. ფირცხალავაძე.

ჩემპიონის სახელისათვის

საქართველოს პირველობა ქადრაკში ქალთა შორის

VIII ტურში ყველა პარტიისადმი ინტერესი დაჩრდილა ჩაიკოვსკაია-კაკაბაძის შეხვედრამ, რომელიც ლენინგრადის საკითხს წყვეტდა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა კაკაბაძემ.

დანარჩენ შეხვედრებში ბუცხრიკიძემ გაიმარჯვა ბერიშვილთან, ფანჭველაშვილმა — კამენკოვთან და ხუბუაძე — საშინაისთან. ყაიშით დამთავრდა ივანოვა-ჩომჩაიძის შეხვედრა.

გადაღებული პარტიების დამთავრებამ გარკვეულობა შეიტანა სატურნირო ცხრილში. კაკაბაძე-კამენკოვიჩისა და საშინაია-ტოგონიძის პარტია ყაიშით დამთავრდა, ხოლო ტოგონიძის აბრისიძესთან გამარჯვების შუაღვე ჩემპიონატს ორი ლიდერი გაუჩნდა — ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე.

ამ დღეს ყველა პარტია დამთავრდა. გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა ბუცხრიკიძემ, რომელმაც მოიგო საქაპურიძეს. თავის მხრივ საქაპურიძემ დაამარცხა ივანოვა და გოგიაშვილი ყაიშით შეუთანხმდა. ბერიშვილმა წააგო აბრისიშვილსა და ჩომჩაიძესთან. ყაიშით დამთავრდა შეხვედრა ივანოვამ და ფანჭველაშვილმა.

IX ტურში პირველი შედეგი აღინიშნა ჩომჩაიძე-გოგიაშვილის პარტიაში, რომელიც მოიგო გოგიაშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ბერიშვილს ცუდი მაჩვენებლები აქვს, მის თამაშს აშკარა წინსვლა ეტყობა. ტოგონიძესთან იგი შეუპოვრად იბრძოდა, ერთხანს უკეთესი პოზიციაც ჰქონდა, მაგრამ ციტილოტი იგი ვერ გაეცკვა, დაკარგა ხარისხი და დანებდა ყაიშით დამთავრდა ბუცხრიკიძე-ივანოვასა და ფანჭველაშვილის-სამსონიას შეხვედრები.

სხვა პარტიები გადაიღო. კაკაბაძის უპირატესობა აქვს აბრისიძეს.


ტექნიკურებს შორის

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წულუპის ტექნიკუმის სპორტულ ბაზებზე გამართა ამხანაგური შეჯიბრება ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმსა და მასპინძლებს შორის. ორ სახეობაში გამარჯვებს წულუპიელებმა.

კ. გოგოლაძე.

ვასთან, ხუბუაძე — ჩაიკოვსკაიასთან, X ტურის შემდეგ მ. ტოგონიძეს ხოლო კამენკოვიჩს — საქაპურიძესთან. გულენ X ტურში ტოგონიძემ მოიგო კაკაბაძეს — 6,5 და ერთი ვადუგო კაკაბაძეს, ჩაიკოვსკაიამ — დეზუელი პარტია.

თ. გიორგაძე.



როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იწყებს, ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის კალათბურთელ ვაქთა და ქალთა ნაკრები გუნდები 20 აპრილს ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრებიან ევროპაში, კერძოდ კი საბჭოთა კავშირში. ფიქრობენ რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს ამერიკელები 22 აპრილს ეწვევიან.

ამერიკის ქალთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაშია 12 სპორტსმენი — პეტსი ჯოან ბრაუნი, სანდრა ფიტი, ბარბარა ენი საიპსი, ფრენსის დევიდსონი, ჯუდიტ ვაშინგტონი, კეი აარსი, ელიტ კატონი, შირლი ბერდი, მარგარეტ ჰოლორანი, პეგი ტეტი, ნერა უაიტი, ჯოან კრაუფორდი. ამ გუნდის შეიერი წევრი გასული წლის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, დანარჩენები კი მასში შეყვანილ იქნენ სულ ახლახანს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 4 კალათბურთელის სიმალლე 180 სანტიმეტრს აღემატება, ხოლო ბარბარა ენი საიპსის სიმალლე კი 190 სანტიმეტრია.

როგორც ცნობილია, გასული წლის მსოფლიო პირველობაზე, რომელიც რიოდე ჟანეიროში გაიმართა, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა დაიკავა პირველი ადგილი მას შემდეგ, რაც ფინალში დაამარცხა საბჭოთა კავშირის გუნდი.

ვაქთა ნაკრები გუნდიც დაკომპლექტებულია 12 კალათბურთელით. ესენი არიან — ბორნი, ბერდი ჰოლორსონი, ტერი რენდი, ჯიმ ჰალმერი, ჩაკ ვოლფი, დიკ ბოლუშა, ჰარვი შმიდტი, ბობ ჯანჯერარდი, ალენ ჩილი, დინ ჩილი, პოლუი გრიტსენდენი, ჯო დინი. ოთხი მათგანი — ბორნი, ჰოლორსონი, რენდი და ჰალმერი ორ მეტრზე მაღლები არიან. XVI ოლიმპიურ თამაშებზე მეტბურთეებში გამოთიადენენ მხოლოდ ბოლუშა, ჯანჯერარდი და ჰოლორსონი.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები XV ოლიმპიურ თამაშებზე ჰელსინკიში ორჯერ შეხვედნენ ერთმანეთს. ორი მატჩი ჩაატარეს მათ მეტბურთეებში. ოთხივე შეხვედრა მოიგეს ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებმა.

ამერიკის კალათბურთელთა დელეგაციას საბჭოთა კავშირში მოჰყვება საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი უილარდ გრემი, ქალთა გუნდის მწვრთნელი ჯონ ჰეილი და ვაქთა გუნდის მწვრთნელი უორენ ფომბლი. მოსკოვში სტუმრები ჩაატარებენ ორ შეხვედრას საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებთან. შემდეგ ამერიკელი კალათბურთელები ითამაშებენ თბილისსა და ლენინგრადში.




ეროის მანგალაძის მონაწილეობით, ტრაველია გრძელდება.

გამოსაქალი მოინახე

ფეხბურთში მსოფლიო პირველობის სიარგანზავიო კომიტეტმა გადაწყვიტა მატჩებზე შესასვლელი პილუტები დაბეჭდოს შვეიცის სახელმწიფო ბანკის სპეციალურ ქალაქულზე. რომელზეც ჩვეულებრივ იბეჭდება შვეიცის ფუნის ნაშნები. ეს ნაბიჯი გამოწვეულია მატჩებზე ყალბი პილუტების გავრცელების შიშით.

ფიცი

უნგრეთის საუკეთესო ფეხბურთელმა, ეროვნული ნაკრების კანდიდატებმა, რომლებსაც მოუწევთ თავიანთი მსოფლიო ჩემპიონატში, დღეს სპორტული ფიცი. უნგრეთის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარესთან შანდორ ბარჩისთან ერთად ამ ფიცს იმეორებდა 38 სპორტსმენი: „ფიცსა ვდებ მთელი ჩემი ცოდნითა და შურუყველი სურვილით მივალწიო იმას, რომ მსოფლიო პირველობისათვის მზაობის დროს და მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩემი ცოდნითა და უნარით ხელი შევეწყუ უნგრეთის გუნდის წარმატებაში... ფიცსა ვდებ, რომ მთელი ჩემი შრომა და მოქმედება გამსჭვალულია ქემპარიტი პატრიოტიზმითა და ხალხთა ურთიერთთანამშრომლობის სულისკვეთებით.“ იმ ფეხბურთელთა შორის, რომლებმაც ფიცი მიიღეს, იყვნენ 1954



წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მონაწილენი: გროშიჩი, პოიკი, ბუდაი, პიდგეუტი და სხვები.

ივანია — ჩემპიონი

დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ყოველწლიურად იტარებს ფეხბურთის ასოციაციამ ვერობული კავშირი. 13 აპრილს ლუქსემბურგში ფინალური მატჩი შეხვედნენ იტალიისა და ინგლისის გუნდები. მატჩი მოიგეს იტალიელებმა ანგარიშით 1:0. მესამე ადგილისათვის იბრძოდნენ საფრანგეთისა და რუმინეთის ფეხბურთელები. მათი შეხვედრა დამთავრდა ფრანგების გამარჯვებით — 3:0.

რედაქტორი ი. უზულაძე